ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 299

30 ივნისი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი № 118-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის" (საიდენტიფიკაციო №405241563) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ, 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის" (ს/ნ. 405241563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ივნისის №23.919.1033 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №118-ის მიმდებარედ 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის" (ს/ნ. 405241563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 020 (შვიდი ათას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე